## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N080403/111/8ა

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 27 იანვარი, 2011 წ.

ერთის მხრივ ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს გამგეობა, წარმომადგენელი გამგებელი დ. ბურდულის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) მეორეს მხრივ შპს „ ტრანსმშენი“, მისი დირექტორის მ. არაბიძის (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ თავი II, მუხლი $10^1$, III პუნქტის, „ბ“ ქვეპუქიტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1.ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისში, **არაყიშვილის ქ №8ა-ში ხანძრის შედეგად დაზიანებული ბინის №38 სარემონტო სამუშაოების შესყიდვა** წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია:

| | სამუშაოს დასახელება | განზომილება | რაოდ-ბა | ერთ ფასი | ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დამწვარი კედლების და იატაკის დემონტაჟი | კვ.მ | 16 | 5 | 80 |
| 2 | კედლების და ჭერის გაწმენდა ნამწვავისგან | კვ.მ | 64 | 10 | 640 |
| 3 | ბლოკის კედლების მოწყობა | კვ.მ | 15 | 65 | 975 |
| 4 | ბლოკის კედლების გალესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით | კვ.მ | 45 | 7 | 315 |
| 5 | ჭერების ლესვა | კვ.მ | 13 | 8 | 104 |
| 3 | გიფსო-კარდონის მონტაჟი კედლებზე და ჭერზე | კვ.მ | 19 | 12 | 228 |
| 4 | გიფსო-კარდონის კედლების დამუშავება ფითხით ორ ფენათ | კვ.მ | 24 | 5 | 120 |
| 5 | კოლონების შეფუთვა გიფსო-კარდონით | კვ.მ | 4 | 18 | 72 |
| 6 | იატაკის მოჭიმვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით | კვ.მ | 37 | 6 | 222 |
| 7 | ლამინატის იატაკის მოწყობა | კვ.მ | 37 | 17 | 629 |
| 8 | კედლების და ჭერის შეღებვა ორი ფენა | კვ.მ | 80 | 5 | 400 |
| 9 | მეტალო-პლასმასის კარ ფანჯარის მონტაჟი | კვ.მ | 10,5 | 80 | 840 |
| | ელ გაყვანილობის აყდგენა | ც | 1 | 186 | 186 |
| 11 | ელ.დანადგარი (მაცივარი) | ც | 1 | 398,86 | 398,86 |
| 12 | ელ.დანადგარები(ტელევიზორი) | ც | 1 | 200 | 200 |
| 13 | ნაგავის გატანა | ტ | 29 | 25 | 725 |
| | | | | | |
| | ჯამი | | | | 6134,86 |
| | ზედნადები ხარჯები | 3% | | | 184,05 |
| | ჯამი | | | | 6318,91 |
| | გეგმიური დაგროვება | 5% | | | 315,95 |
| | ჯამი | | | | 6634,85 |
| | დღგ 18% | 18% | | | 1194,27 |
| | ჯამი | | | | 7829,12 |

## 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 7829.12 (შვიდი ათასს რვაასოცდაცხრა ლარი და თორმეტი თეტრი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება").

## 3. სტანდარტები და ხარისხი

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს;

## 4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1 სამუშაოები უნდა შესრულდეს შემსყიდველის დავალების შესაბამისად, ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 20 მარტის ჩათვლით.
4.2 სამუშაოების შესრულების ადგილი – ქ. თბილისში, **არაყიშვილის ქ. №8ა ხანძრის შედეგად დაზიანებული ბინა №38**

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 სამუშაოთა მიღება-ჩაბარება განხორციელდება მათი დამთავრების შემდეგ თანახმად ტექნიკური პირობებისა, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული აქტების საფუძველზე.
5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს: ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი –სიმონ ბახტაძე.
5.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით

## 6. ანგარიშსწორება და ვალუტა

6.1 ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
6.2 ანგარისწორება მოხდება ეტაპობრივად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული სამუშაოებისათვის ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. ფასები

7.1 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

**8.2 შემსყიდველი ვალდებულია:**

8.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

8.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

8.2.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

**8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:**

8.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

8.3.2. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტს;

**8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:**

8.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.4.2. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებლი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებლს.

8.4.3. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

8.4.4. მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

8.4.5. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო ობიექტზე.

8.4.6. სამუშაოების დასრულების შემდეგ 2 (ორი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი

(ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

8.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება;

## 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.
9.3. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
9.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
9.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.
9.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

11.1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
11.2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე

მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. გაუთვალისწინებელი გარემოებები („ფორს-მაჟორი")

13.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.
14.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
14.4. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.3 პუნქტში აღნიშნული პირ(ებ)ი.

## 15. სხვა პირობები

15.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
15.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.
15.6. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო პროცესში ჩართული საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებით არანაკლებ 70%-ის ოდენობით.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობა

მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68 ა

სს „ლიბერთი ბანკის"

ცენტრალური ფილიალი

კოდი: 220101480

ა/ა № GE95LB0125152101627000

ს/კოდი: 204872539

გამგებელი

დ. ბურდული

**მიმწოდებელი:**

შპს „ტრანსმშენი"

მის: ქ. თბილისი, ძმები ფიფიების ქ. №12

სს „საქართველოს ბანკი"

ცენტრალური ფილიალი

კოდი: 220101502

ა/ა №: 026467943

ს/კოდი: 202173085

დირექტორი

მ. არაბიძე

# ქალაქ თბილისის მერია
# TBILISI CITY HALL

№ 08/5611-3
"25" 01 2011

ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელს
ბატონ დავით ბურდულს

თქვენი 2011 წლის 25 იანვრის №4-02/25 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ვითვალისწინებთ რა შექმნილ მდგომარეობას და წარმოდგენილ არგუმენტებს, ქ. თბილისის მერიის დებულებით განსაზღვრული საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელებისა და საზოგადოებრივი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია არაყიშვილის ქ. №8ა ბინა №38-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღდგენის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით პასუხისმგებლობა ამ კანონით და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვისათვის, შესყიდვების რაციონალური განხორციელებისათვის მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

პატივისცემით,

ქ.თბილისის მერის მოადგილე /ტ. ხიზანეიშვილი/

ქ. თბილისი 0160. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 378189. ფაქსი: (+995 32) 378154
7, Shartava st., 0160 Tbilisi, Georgia. Tel.: (+995 32) 378189; Fax. (+995 32) 378154